# ბრიტანული და ქართული ლიტერატურის ზოგიერთი მწერლის შემოქმედების შედარებითი ანალიზი

**რუსუდან გოგოხია**
*განათლების დოქტორი ევროპის უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*
*ელ-ფოსტა: gogokhia.rusudan@eu.edu.ge*
*ORCID: https://orcid.org/0000-0003-1137-6823*

**აბსტრაქტი.** ლიტერატურა არის კულტურის სარკე, რომელიც ასახავს ერის ისტორიას, მის ტრადიციებს და სულიერ ღირებულებებს. ბრიტანეთის და ქართული ლიტერატურა ორი ცალკეული, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული, კულტურული ტრადიციის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავდებიან როგორც ენით, ისე სტილისტიკით და ჟანრით, ორივე მათგანი წარმოადგენს თავისი ქვეყნის სულიერ ძეგლებს, რომლებიც გამოხატავენ ეროვნულ იდენტობას და სამყაროს ხედვას. ბრიტანეთის ლიტერატურამ, თავისი მრავალწლიანი ისტორიისა და მნიშვნელოვანი ავტორების შესანიშნავი შემოქმედებით, დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ ინგლისურენოვან, არამედ სხვა კულტურასა და ლიტერატურაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანული ლიტერატურა უმთავრესად ასოცირდება ინგლისურენოვან ქვეყნებთან, მისი შთაგონება და გავლენა გასცდა ინგლისს და ევროპას. ბრიტანულმა ლიტერატურამ, რომელიც ხშირად შეეხებოდა სოციალურ პრობლემებს, უდიდესი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაში, სადაც სოციალური უთანასწორობა და პოლიტიკური საკითხები მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა. დიკენსის და ჰარდის მსგავსმა ავტორებმა, რომლებმაც აღწერეს კლასობრივი უთანასწორობა, გაჭირვება და შრომის პირობები, შთაგონება მისცეს ქართველ მწერლებს, რათა უფრო ღრმად შეძლებოდათ დაკავშირება ქართულ საზოგადოებაში არსებულ გამოწვევებთან. ქართულ ლიტერატურასა და კულტურაში, განსაკუთრებით XIX და XX საუკუნეებში, ბრიტანეთის ლიტერატურის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი აისახა, რაც ფუნდამენტური გარდამავალი პერიოდის ნაწილი გახდა. საქართველოში ბრიტანული ლიტერატურის საკითხები აქტიურად განიხილებოდა და მისი ნაწარმოებები ითარგმნებოდა ქართულ ენაზე, შეიმჩნეოდა აშკარა შთაგონება. ამ სტატიის მიზანია, შევადაროთ ბრიტანეთისა და ქართული ლიტერატურა მათი ისტორიის, ძირითადი მიმდინარეობებისა და ავტორების ჭრილში, რათა გამოვავლინოთ მსგავსებები და განსხვავებები. შევისწავლოთ, როგორ აისახა ბრიტანული ლიტერატურის ელემენტები ქართულ ლიტერატურაში, რა გავლენა მოახდინა მან ქართულ მწერლობაზე და რომელ ავტორებსა და მიმდინარეობებზე ჰქონდათ გავლენა. გავაანალიზოთ, როგორ მოახდინა ბრიტანეთის ლიტერატურამ გავლენა ქართულ კულტურაზე, როგორ აისახა ეს გავლენა ქართულ მწერლობაში, მის სტილისტიკაში, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ლიტერატურა; ინგლისური ლიტერატურა; ლიტერატურული ანალიზი

***

**შესავალი.** ბრიტანეთის ლიტერატურა წარმოადგენს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარ და მრავალფეროვან ტრადიციას მსოფლიოში. მისი ისტორია მოიცავს მრავალწლიანი განვითარების პროცესებს, რომლებიც აისახება როგორც სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების, ასევე ინდივიდუალური გენიოსების შრომის შედეგებზე. ბრიტანული ლიტერატურა ამაყობს თავისი

კლასიკური ნაწარმოებებით, რომლებიც არა მხოლოდ ინგლისურენოვან ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოშია აღიარებული.

ბრიტანული ლიტერატურა მრავალი საუკუნის განმავლობაში განვითარდა, ითვისებდა სხვადასხვა ენობრივი და კულტურული შთაგონებების გავლენას. ბრიტანული ლიტერატურის უდიდესი მომენტები დაკავშირებულია რამდენიმე ძირითად ეპოქასთან.

ბრიტანეთის ლიტერატურა არა მხოლოდ მკითხველთა გრძნობებს აღძრავდა, არამედ ეხმარებოდა საქართველოში ახალი ინტელექტუალური მიმართულებების ჩამოყალიბებას. ეს გავლენა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საზოგადოებაში ხშირად დახურული იყო, ტრადიციულ კულტურასთან შერწყმული იყო. ბრიტანული ლიტერატურა საქართველოში მეტად პოპულარული გახდა XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. ქართველმა მწერლებმა შეისწავლეს და თარგმნეს უამრავი ბრიტანული ნაწარმოები. ბრიტანულმა ლიტერატურულმა ტრადიციებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქართულ პოეზიაზე და პროზაზე, რომელიც იმ დროისთვის ემთხვეოდა სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს.

ქართული ლიტერატურა, ისტორიულად მრავალფეროვანი ტრადიციის ნაწილია. იგი უკავშირდება როგორც ცივილიზაციის აღმავლობას, ისე იდენტობის საკითხებს, რაც ეროვნულ გმირებზე და რელიგიურ საკითხებზე დგას.

**მსჯელობა. ადრეული ლიტერატურა.** ბრიტანეთის ლიტერატურის ისტორია იწყება ანგლო-საქსონის პერიოდიდან, დაახლოებით V-დან XI საუკუნის ჩათვლით. ამ პერიოდში შეიქმნა ცნობილი ეპიკური პოემა „ბეოვულფი" (Beowulf), რომელიც თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნიმუშად ითვლება. მისი მახასიათებლებია ჰეროიზმი, ტრაგიზმი და მორალური არჩევანი. ამ დროის ლიტერატურა ძირითადად იყო ეპიკური და რელიგიური, რადგან ინგლისი ამ პერიოდში ქრისტიანული გავლენის ქვეშ იყო.

**შუასაუკუნეების ლიტერატურა.** XII-XIII საუკუნეების განმავლობაში ინგლისური ლიტერატურა ძლიერად ასოცირდებოდა რელიგიურ თემებზე და ხალხური შემოქმედებით, მაგალითად, ჯეფრი ჩოსერის (Geoffrey Chaucer) „კენტერბერული მოთხრობები" (The Canterbury Tales), რომელიც მე-14 საუკუნეში შეიქმნა, არის ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, სადაც გენიალურადაა გაერთიანებული სასიყვარულო ლიტერატურა, ტრაგიკომედია და სოციალური კრიტიკა. ამ პერიოდში ქართული ლიტერატურა ძალიან მდიდარია რელიგიური და ეპიკური ნაწარმოებებით. „ვეფხისტყაოსანი" - შუა საუკუნეების ეპოსი, რომელიც ეკუთვნის შოთა რუსთაველს. ეს ნაწარმოები წარმოადგენს ლიტერატურულ სიმბოლოს ქართული კულტურისა და ეროვნული იდენტობისთვის. „ვეფხისტყაოსანი" ასახავს ქართულ რაინდულ კუთვნილებას და ზნეობრივ ფასეულობებს, სიყვარულს, გმირობას და ადამიანურ გრძნობებს, რაც, თავის მხრივ, არის ეროვნული ცნობიერების ნაწილი.

**რენესანსი და შექსპირი.** მე-16 საუკუნე წარმოადგენს ბრიტანული ლიტერატურის აღორძინების ხანას. ამ დროს იწყება ლიტერატურული ახალი ფორმების განვითარება, შექსპირის პიესები, როგორიცაა „ჰამლეტი", „მაკბეთი", „რომეო და ჯულიეტა" და „ოტელო", ქმნის ლიტერატურულ პარადიგმას, რომელიც დღემდე ვრცელდება მსოფლიო ლიტერატურაში. შექსპირის ნამუშევრები საფუძვლად დაედო ბრიტანული და მსოფლიო თეატრისა და პოეზიის კლასიკურ ტრადიციებს. მისი პიესები, ტრაგედიები, კომედიები და ისტორიული პიესები წარმოადგენენ ადამიანური სულიერი და სოციალური პრობლემების უკვდავყოფას, რომელთა ჭვრეტა დღემდე აქტუალურია. შექსპირის ნაწარმოებები განხილულია არა მხოლოდ ინგლისურ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში. მისი შთაგონება გახლავთ ცივილიზაციის წინააღმდეგობების კვლევა: შიდა კონფლიქტები, სიყვარული, შური, გრძნობა, სინდისი.

**ვიქტორიანული ეპოქა.** (1837–1901) ინგლისში დიდი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების პერიოდია. ამ ეპოქაში ბრიტანულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საზოგადოებრივი პრობლემების განხილვამ. ჩარლზ დიკენსი, ჯორჯ ელიოტი, ტომას ჰარდი და სხვა ავტორები, თავიანთი ნაწარმოებებით, მიმოიხილავდნენ ინდუსტრიალიზაციის, კლასობრივი უთანასწორობისა და სოციოლოგიური კრიზისის საკითხებს. ნაწარმოებები გამოხატავენ ადამიანთა ბრძოლას საზოგადოებრივ წინააღმდეგობებთან და სოციალურ სტატუსთან. ამ პერიოდში გაიზარდა სოციალურ-პოლიტიკური და სოციალური პრობლემების ხილვა ლიტერატურაში.

ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატავდნენ სოციალური უთანასწორობის, უმწეობისა და ადამიანური ღირსების საკითხებს, აქტუალურობას არ კარგავდა არც ქართული საზოგადოებისათვის. მისი ნაწარმოებები დიდი ინტერესით შემოვიდა ქართულ ლიტერატურულ წრეებში. დიკენსის სტილმა და მისმა თემატიკამ – რომელიც ადამიანის შრომის, სიღარიბის და ტოტალიტარული საზოგადოებრივი სისტემის შესახებ საუბრობდა გავლენა მოახდინა იმ დროს ქართულ მწერლობაზე, რომელთა ნაწარმოებებიც ამ პრობლემებსა და კონფლიქტებს ეხებოდა. მისი სათქმელი დიდად ემთხვეოდა ქართულ ტრადიციებს. გატაცება და ზნეობრივი საკითხები ქართული მწერლების მიერ აღიარებული იყო. ტ.ს. ელიოტის პოეზია გავლენას ახდენს მოდერნისტულ მოძრაობაზე და წარმოადგენს XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნაწარმოებს. თომას ჰარდი ასახავს საზოგადოებრივი ჩარჩოების დარღვევასა და სოციალური თანასწორობის პრობლემებს, რასაც ხშირად ქართული მწერლებიც აქტიურად იკვლევდნენ, ამავე დროს კი ბრიტანული რეალიზმის სტილისტიკური მახასიათებლები ქართულ ლიტერატურაშიც აისახა. რენესანსი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა. ქართულ ლიტერატურაში კი დავით გურამიშვილი, აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე გამოხატავდნენ პოეტური და პროზაული ფორმით ქართული საზოგადოების გამოწვევებს. ნაწარმოებები ასახავს საზოგადოებრივ ცვლილებებს და ერის იმედებს ეროვნული განვითარების მხრივ.

**მოდერნიზმი, თანამედროვე ბრიტანული ლიტერატურა.** XX საუკუნის დასაწყისში ბრიტანული ლიტერატურა გადავიდა მოდერნიზმის ეპოქაში. ეს მოძრაობა ხასიათდება ტრადიციული ფორმების უარყოფით და ექსპერიმენტებით. მე-20 საუკუნის დასაწყისში ბრიტანული ლიტერატურა იწყებს ახალ მიმართულებებს. მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი, რომლებიც მნიშვნელოვან ცვლილებებსა და ექსპერიმენტებს უკავშირდება, მაგალითად, ჯეიმს ჯოისის (James Joyce) და Virginia Woolf-ის (ვირჯინია ვულფი) ნამუშევრები, რომლებიც სრულყოფილად ასახავს მოდერნისტული ლიტერატურის ექსპერიმენტებს დროის, შეგრძნების და სტრუქტურის საკითხებზე. ისინი მტკიცედ დგებიან მოდერნისტულ პრინციპებზე, როგორც ფსიქოლოგიური ვარიაციები.

XIX საუკუნის ბრიტანული რომანტიზმის მწერლებმა, როგორიც იყვნენ ლორდ ბაირონი, პერსი ბიში შელი, და უილიამ ვორდსუორთი, შეიტანეს დიდი ცვლილებები ლიტერატურაში. მათი ნაწარმოებები არა მხოლოდ რომანტიზმის ფილოსოფიას ავლენდა, არამედ ფიქრის ახალ სახეობას გვთავაზობდა. მათი შემოქმედება იყო თავისუფლების, ინდივიდუალიზმისა და ბუნების მიმართ განსაკუთრებული სიყვარულის შესახებ. ეს რომანტიკოსი მწერლები გახდნენ ერთგვარი შთაგონების წყარო და ცვლიდნენ კულტურული თუ ემოციური რუკების მნიშვნელობას.

ბრიტანული რომანი თანამედროვე ლიტერატურაში ითვლება ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ ჟანრად. ქეით ოსტინი, შარლოტ ბრონტე და ემილი ბრონტე მთელ მსოფლიოში ცნობილნი არიან თავიანთი რომანებით, რომლებსაც გატაცების, სიყვარულისა და სოციალური მოლოდინების თემა აქვთ. მათ რომანებში ძალიან ზუსტად არის ასახული ბრიტანული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა.

ილია ჭავჭავაძე - ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საკუთარ ნაწარმოებებში ხშირად მიმართავდა თავისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფადობის თემებს, რაც პირდაპირ

ეკვივალენტურია ბრიტანული რომანტიზმის იდეებს. მისი პოეზია, რომელიც ღრმად ასახავდა ჰუმანიტარულ ღირებულებებს, ხშირად ასახავდა ისეთ ტრადიციებს, რომლებიც დასავლურ შთაგონებას ეფუძნებოდა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში პოეტური თავისუფლება და პიროვნული განმტკიცება ხშირად გულისხმობდა ბაირონის სტილს, რომელშიც ის გამოხატავდა დიდძალ ემოციებს, შემოქმედებით თავისუფლებას და ინდივიდუალური ბრძოლების პარალელებს. გალაკტიონ ტაბიძე და ბრიტანული პოეზიის გავლენა. გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ქართველ პოეტად მიიჩნევა, ბრიტანული ლიტერატურის მნიშვნელოვან მიმდევარად იქცა. მის პოეზიაში იმპულსის და მტრულობის გადმოცემის უნიკალური სტილი გამოკვეთილი იყო ბრიტანული პოეზიის გავლენით. გ. ტაბიძის პოეზიაში ბუნებისა და ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოხატვა, ხშირად ჰარმონიაშია ბაირონის და შელის შემოქმედებასთან, რომელიც გულისხმობს შინაგან ემოციებს და ბრძოლას მსხვერპლშეწირვის გზით.

ბრიტანული პოეზია არის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და გამორჩეული ლიტერატურული ტრადიცია. ბრიტანულ პოეზიაში მოიაზრება ცნობილი ავტორები, როგორიცაა John Milton (ჯონ მილტონი), რომლის "Paradise Lost" (დაკარგული სამოთხე) დღემდე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ნაწარმოებია დასავლურ ლიტერატურაში. William Blake (უილიამ ბლეიკი) და Samuel Taylor Coleridge (სემუელ ტეილორ კოლერიჯი) პოეზიაში სენტიმენტალური ტონებით და რომანტიკული იდეებით გამოირჩევიან. 20-ე საუკუნეში კი, T. S. Eliot (თომას სტერნზ ელიოტმა) და W. B. Yeats (უილიამ ბუტლერ იეიტსმა), რევოლუციური ცვლილებები განახორციელეს პოეზიის ფორმასა და სტილში.

ბაირონი და მისი პოეზია, რომელიც ასახავდა პიროვნული თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეებს ამორჩა. ილია ჭავჭავაძის და გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებები, რომლებიც ღრმად ასახავდა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეებს და პიროვნული თავისუფლების მნიშვნელობას, პირდაპირ დაკავშირებული იყო ბაირონის მსგავს იდეებთან.

**დასკვნა.** ბრიტანული ლიტერატურა დიდ როლს თამაშობს როგორც ბრიტანეთის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში, ასევე თანამედროვე მსოფლიოს ლიტერატურული ტრადიციების ფორმირებაში. მისი ეპოქალური მწერლები და ნამუშევრები დღესაც აქტიურად განიხილება, მათში ღრმა ფილოსოფიური და სოციალური საკითხებია მოცემული.

ბრიტანული და ქართული ლიტერატურა საფუძვლიანად უკავშირდება ადამიანურ გრძნობებს, სოციალურ გამოწვევებსა და ეროვნულ იდენტობას. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კულტურას აქვს სხვადასხვა ისტორიული და გეოგრაფიული კონტექსტი, ორივე ლიტერატურა ემსახურება ეროვნულ ღირებულებებს და სოციალურ პრობლემებს. ორივე ლიტერატურაში ნაპოვნია მძლავრი სულიერი ძეგლები, რომლებიც ჭვრეტენ ადამიანის სულიერ სამყაროს, მის შინაგან ბრძოლას და ურთულეს მდგომარეობებში ყოფნას.

ბრიტანული ლიტერატურა ხშირად დაინტერესებულია ფსიქოლოგიური ფენომენებით და უფრო ექსპერიმენტული მიდგომებით (მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი), ხოლო ქართული ლიტერატურა უფრო მეტად მიმოიხილავს ეროვნულ ღირსებას, ფოლკლორის თემებს და რელიგიურ საკითხებს. ბრიტანულ ლიტერატურაში კოსმოპოლიტური ტენდენცია უფრო ძლიერად არის წარმოდგენილი, რაც განსაკუთრებით აღინიშნება მისი კოლონიური წარსულის გავლენით, მაშინ როდესაც ქართული ლიტერატურა უფრო მეტად ფოკუსირებულია ერთიანი ერისა და კულტურის შენარჩუნებაზე.

ბრიტანული და ქართული ლიტერატურა უნიკალურია და თითოეულმა მათგანმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო კულტურაზე. მიუხედავად მრავალი განსხვავებისა, ორივე

ლიტერატურა აღიარებულია, როგორც ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ მსოფლიოს კულტურულ მდგრადობას უზრუნველყოფს.

ბრიტანული ლიტერატურა დიდ როლი თამაშობს როგორც ბრიტანეთის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში, ასევე თანამედროვე მსოფლიოს ლიტერატურული ტრადიციების ფორმირებაში. მისი ეპოქალური მწერლები და ნამუშევრები ჯერ კიდევ დღეს აქტიურად განიხილება, ბრიტანეთის ლიტერატურამ მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე და კულტურაზე, განსაკუთრებით XIX და XX საუკუნეებში. ბრიტანულმა რომანტიზმა, რეალიზმა და პოეზიამ შეიტანეს ახალი სტილისტიკური და თემატური ელემენტები ქართულ ლიტერატურაში, რაც დაეხმარა ქართულ მწერლებს, უფრო ღრმად გამოეხატათ ეროვნული იდენტობა, სოციალური გამოწვევები და პიროვნული თავისუფლება. ამგვარი გავლენები არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ საზოგადოებრივ და კულტურულ დონეზე აისახა, რაც ბრიტანეთის და ქართული კულტურის ურთიერთობის გამყარების ნაწილად იქცა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


გაბულოვა, ზ. (2020). პოსტმოდერნული რომანის შედარებითი ანალიზი ინგლისურ და ქართულ ლიტერატურაში. თბილისი.

გუბელაძე, ნ. (2018). აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურა. გამომცემლობა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ინგლისური კლასიკური ლიტერატურა. https://craft-m.ru/ka/android-instructions/angliiskaya-klassicheskaya-literatura-luchshee-chitat-znamenitye-angliiskie/

ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი 1. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2998/1/KartuliLteraturisIstoria_Tomi_I.pdf

ძაგნიძე, ლ. (2023). ტომას ელიოტი და რენესანსული ჰუმანიზმის ტრადიციათა გადაფასება ინგლისურენოვან მოდერნისტულ ლიტერატურაში. თბილისი.